ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ აპრილი _____ 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ბიბლუსისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის ---- აპრილის № ---------- ---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ბიბლუსისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №205254892) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი №8-ის დასავლეთით მდებარე უძრავი ქონების ნაწილის (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.03.21.419; ფართობი - 4.00 კვ.მ;) 2026 წლის 15 იანვრამდე, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება მოიჯარის მიერ გამოყენებულ იქნეს მაგიდებისა და სკამების განთავსებისათვის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3. ქონების ერთი თვის საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს" შორის 2023 წლის 3 თებერვალს გაფორმებული №2000188723 ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (13.07.2023 წლის №004932323) მიხედვით, რომელიც 1 კვ.მ.-ზე შეადგენს 50.0 (ორმოცდაათი) ლარს. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ბიბლუსისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №205254892). სარგებლობაში გადაცემული ქონების თვიური საიჯარო ქირა განისაზღვრება 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს განკარგულების გამოცემის შემდგომ, ინდივიდუალური ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტის გამოცემა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ბიბლუსისათვის“
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით
განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა შპს ,,ბიბლუსის'' (15.01.2024 წლის N10/44240154-44) განცხადება, რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის ვადის გაგრძელებას და საიჯარო ფართის შემცირებას (4.00 კვ.მ-მდე).

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 აგვისტოს N227 განკარგულების და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 03 ოქტომბრის Nბ44.442327625 ბრძანების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ბიბლუსს“ (ს/ნ 205254892) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, 4 (ოთხი) თვის ვადით, სარგებლობაში გადაეცეს, რუსთაველის გამზირი №8-ის დასავლეთით არსებული, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტროტუარის ნაწილი ფართობით 8.32 კვ.მ. (საკადასტრო კოდი 03.03.21.419). სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონებაზე მაგიდებისა და სკამების განთავსებისათვის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ბიბლუსისათვის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი №205254892) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი №8-ის დასავლეთით არსებული უძრავი ქონების ნაწილის (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.03.21.419; ფართობი - 4.00 კვ.მ;) 2026 წლის 15 იანვრამდე, სარგებლობაში გადაცემა. სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება მოიჯარის მიერ გამოყენებულ იქნეს მაგიდებისა და სკამების განთავსებისათვის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ასევე, ქონების ერთი თვის საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ შორის 2023 წლის 3 თებერვალს გაფორმებული №2000188723 ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (13.07.2023 წლის №004932323) მიხედვით, რომელიც 1 კვ.მ.-ზე შეადგენს 50.0 (ორმოცდაათი) ლარს. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ბიბლუსისათვის“ (ს/ნ 205254892). სარგებლობაში გადაცემული ქონების თვიური საიჯარო ქირა განისაზღვრება 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი - საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს.

შესაბამისად წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ბიბლუსისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი